პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 176 (12090) | პარასკევი, 4 აგვისტო 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ლირსეული შეხვედრა სკკპ XXII ყრილობას!



შეენთვის, ჩემო სამშობლო!

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხანაში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მეტალურგებში მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მშობლიური კომუნისტური პარტიის დიადი პროგრამის პროექტის გამოქვეყნებამ.

არნახული თავდადებით შრომობს მეორე საამქროს კოლექტივი, რომელიც იბრძვის კომუნისტური შრომის სახელის მოპოვებისათვის. საამქროს სახელოვანმა კოლექტივმა სამშობლოს მისცა რამდენიმე ათასი ტონა ზეგეგმითი ძვირფასი შენადნობი და ამით შვიდ თვეში რვა თვის დავალება შეასრულა. მთელ ქარხანაში გამოირჩევიან № 11 და 14 სადნობი ღუმელების კოლექტივები, რომლებიც ყოველდღიურად დიდძალ ზეგეგმით ლითონს იძლევიან. შრომაში ყველას გაუსწრეს ლ. გაჩეჩილაძის, ო. ჭყოიძის, ზ. ნებიერიძის, გ. კაცოტაძის, ო. ჩაჩუას, ღ. ქათამაძის, ზ. ფერაძის და ნ. ალავიძის მდნობელთა ბრიგადებმა.

ჭუთაისი. (საკ. კორ.). აგურის მექანიზებული ქარხნის კოლექტივი, რომელიც სამტრედიელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, სულ უფრო მეტ და მაღალხარისხოვან აგურს აწვდის მშენებლებს. ქარხანამ ვადამდე შეასრულა შვიდი თვის დავალება და აგვისტოს ანგარიშში მილიონნახევარი ცალი აგური გამოუშვა.

საგულისხმოა, რომ განვლილ პერიოდში აქ გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 2 პროცენტით შემცირდა.

ამ წარმატებების მოპოვებაში თავი გამოიჩინეს კომუნისტური შრომის სახელისათვის მებრძოლმა ბრიგადამ, რომელსაც მ. ხარბედია ხელმძღვანელობს, აგრეთვე აგურის ჩამწყობმა ნ. მურმანიძემ, მეყალიბე ლ. ხურცილავამ, გამომწველმა ტ. ხაჭაპურიძემ და მეექსკავატორე გ. ხეცურიანმა.

ახალი შახტის პროდუქცია

ახალციხე. (საკ. კორ.). მეორე წელია, რაც ახალციხის მაღაროთა სამმართველოს სისტემას შეემატა კიდევ ერთი ახალი, № 4 შახტი. პირველად მთელი რიგი ტექნიკური სიძნელეები შეხვდა შახტის კოლექტივს. მაგრამ შვიდწლედის მესამე წლის პირველი დღეებიდანვე მაღაროელებმა თავი დაიდგეს ჩამორჩენას, ყოველთვიურად ზრდიან ქვანახშირის ამოღებას, დაინერგა მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი.

დგანან რა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, სამთოელებმა 20 ივლისისათვის გაანაღდეს ქვანახშირის ამოღების 7 თვის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 1.500 ტონა ქვანახშირი, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირეს 54 კაპიკით, 12 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

შახტში ყველა უბანი, ცვლა და ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. მაგრამ შრომაში ყველას გაუსწრო № 2 საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც სამთო საქმის ოსტატი ელგუჯა ფოფხაძე ხელმძღვანელობს.

ფართოდ და ღრმად გავწიოთ სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდა

სტალინირი (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის, მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ახალი პროგრამის პროექტის გამოქვეყნებას. ყველგან ახალი შრომითი მაჩვენებლებით უპასუხებენ ლენინური პარტიის ამ ისტორიულ დოკუმენტს. გუშინ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საინსტრუქტაჟო თათბირი პარტიის ახალი პროგრამის პროექტის პროპაგანდასთან დაკავშირებით. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ვ. პ. მეყავანაძე.**

— ჩვენი მშობლიური პარტიის ახალი პროგრამა, — განაცხადა ამხანაგმა მეყავანაძემ, — ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა ძლევამოსილად მიიკვლევს გზას კომუნიზმის დიადი იდეები. ჩვენს დროში კომუნიზმი რეალობად იქცა. ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხალხთა ეს ოცნება ჩვენი თვალით ვიხილოთ.

შემდეგ ამხანაგი ვ. პ. მეყავანაძე დაწვრილებით ლაპარაკობს პარტიის პროგრამის პროექტის თვითეულ თავზე, მასში დაყენებულ დიად ამოცანებს უკავშირებს სამხრეთ ოსეთის საწარმოებისა და კოლმეურნეობების ცხოვრებას, პარტიული ორგანიზაციების წინაშე სახავს პროგრამის პროექტის შესწავლისა და განხილვის ამოცანებს.

თათბირის შემდეგ ამხანაგმა ვ. პ. მეყავანაძემ დაათვალიერა თამარაშენისა და ერედვის საბჭოთა მეურნეობები, ესაუბრა იქ მომუშავე მეშენებსა და სპეციალისტებს.

ჭუთაისი. (საკ. კორ.). გუშინ საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტში გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, ლექტორების თათბირ-სემინარი.

თათბირზე სკკპ პროგრამის პროექტის განხილვა-გაცნობასთან დაკავშირებით ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

სოხუმი (საკ. კორ). 3 აგვისტოს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა საინტერესო თათბირი, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდისა და შესწავლის საქმეში. თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხანაგმა **პ. ვ. კოვანოვმა.**

ბათუმი. (საკ. კორ.). აქ მოეწყო თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდის საკითხებს.

საკითხზე — აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდისა და შესწავლის საქმეში — მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **ფ. დ. დუმბაძემ.**

დიადი პროგრამა

ესანიშნავ დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა, მისი ხალხი. ამ დღეებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი. მისმა შთაგონებულმა სიტყვებმა უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია მილიონობით ადამიანის გულში. სიტყვა „პროგრამა“ მოედო მსოფლიოს კიდით კიდემდე, აღტაცება გამოიწვია მთელ პროგრესულ კაცობრიობაში, სოციალისტური ქვეყნების ხალხებში, ჩაუნერგა მხნეობა, სოციალიზმის გამარჯვების კიდევ მეტი რწმენა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი ჩვენი ეპოქის უდიდესი მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტია. მასში პირველად კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე წამოყენებულია კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა.

სკკპ პროგრამის პროექტი იძლევა ჩვენი ეპოქის დახასიათებას, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადაბვლა, რაც ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო. მასში ხაზგასმით აღნიშნულია სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, შეჯამებულია იმ სახელოვანი გზის შედეგები, რაც განვლო საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე.

საბჭოთა ხალხს მიაჩნია, რომ სკკპ ახალი პროგრამის პროექტით გამოხატულია მისი ძირეული სასიცოცხლო ინტერესები, მისი სანუკვარი მისწრაფებები და იმედები. ამ დოკუმენტის თვითეული დებულება გასჭვალულია ზრუნვით ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა გამრავლებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

დიდ აღფრთოვანებას იწვევს პროგრამის სიტყვები: „პარტიის უმაღლესი მიზანია ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომლის დროშაზე წარწერილია: „თვითეულისაგან — უნარისმიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. სავსებით განხორციელდება პარტიის ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

სკკპ პროგრამის პროექტს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები. პროგრამის გაცნობისას რუსთავის მეტალურგები თუ მახარაძელი მეჩაიეები, გორელი ფეიქრები თუ გალელი მესიმინდეები, გურჯაანელი მევენახეები თუ ენგურჰესის მშენებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მღელვარე ფიქრებსა და გრძნობებს, გამოოქვამენ კომუნიზმის გამარჯვების მტკიცე რწმენას.

საბჭოთა ადამიანები მტკიცედ არიან დარწმუნებული იმაში, რომ სსრ კავშირში კომუნიზმის აშენება იქნება კაცობრიობის უდიდესი გამარჯვება მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. კომუნიზმის მწვერვალებისაკენ ყოველი ჩვენი ნაბიჯი აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის მშრომელებს, წარმოადგენს უდიდეს მორალურ მხარდაჭერას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აჩქარებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციები მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან: მოაწყონ სკკპ პროგრამის პროექტის წაკითხვა და შესწავლა საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, საცხოვრებელ ადგილებში და სხვ. საჭიროა ისე მოვაწყოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი — კომუნისტი თუ უპარტიო ღრმად გაეცნოს პროგრამის პროექტს, შეითვისოს მისი შინაარსი, გაიგოს მისი ისტორიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის კომუნიზმისაკენ.

ამოცანა ის არის, რომ პროგრამის პროექტის შესწავლა, განხილვა მაღალ იდეურ დონეზე, ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობით მოვაწყოთ, რომ მან ხელი შეუწყოს ხალხის შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ გაძლიერებას, კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად საქართველოს მშრომელთა მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. სკკპ პროგრამის პროექტის ახსნა-განმარტება დავუკავშიროთ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კონკრეტულ ამოცანებს, მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

სკკპ პროგრამის პროექტის ახსნა-განმარტების ამოცანები მოითხოვენ, რომ იდეოლოგიური დარგის თვითეულმა მუშაკმა კარგად იცოდეს პარტიის ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, საფუძვლიანად ერკვეოდეს მის თვითეულ თეორიულ დებულებაში, რათა ნათლად და გასაგებად გასცეს პასუხი ყოველ კითხვაზე. მიზანშეწონილია ამ მუშაობაში პირველ რიგში ჩავაბათ თეორიულად მომზადებული ამხანაგები, ხელმძღვანელი პარტიული კადრები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების წინაშე არ არსებობს იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე სკკპ პროგრამის პროექტის გაცნობის შესწავლისა და განხილვის მაღალ იდეურ დონეზე მოწყობა. საჭიროა მთელი ჩვენი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა დავუქვემდებაროთ ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ფართო პროპაგანდას.

ისე როგორც ცენტრალურ პრესაში, „კომუნისტის“ ფურცლებზე გაიმართება სკკპ პროგრამის პროექტის განხილვა. კომუნისტებმა, განხილვაში მონაწილეობის ყველა მსურველმა თავიანთი წერილები, სტატიები, შენიშვნები და წინადადებები უნდა გამოუგზავნონ რედაქციას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო გაზრდიან შრომითს წარმატებებს, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ მტკიცე დარაზმულობას დიდი ლენინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ამბები, ფაქტები, ცნობები

დრო არ ითმენს, ამხანაგო მეჩაიეებო!

ზვიდწლედის მესამე წელს საქართველოს მეჩაიეებმა დიდი ვალდებულება იკისრეს — უნდა მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 165 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ამ დიდი ვალდებულების შესასრულებლად მეჩაიეობის ბევრ რაიონში თავიდანვე სერიოზულად გაჩაღდა მუშაობა.

მაგრამ რა მდგომარეობაა დღეისათვის რესპუბლიკაში ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების მხრივ?

სტატისტიკური სამმართველოს მიერ პირველი აგვისტოსათვის გამოშვებული ცხრილის მონაცემები მეტყველებს, რომ წელს საქართველოს მეჩაიეები ბევრად ჩამორჩებიან ჩაის კრეფის შარშანდელ ტემპს. გასულ წელს პირველი აგვისტოსათვის რესპუბლიკაში მოკრეფილი იყო 114.457 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი — წლიური გეგმის შესრულება უდრიდა 82,9 პროცენტს, წელს პირველი აგვისტოსათვის მოკრეფილია 112.377 ტონა ჩაი — წლიური გეგმის შესრულება უდრის 74,9 პროცენტს.

შარშან ივლისში მოიკრიფა 37.267 ტონა ჩაი—თვიური გეგმის შესრულება უდრიდა 117,6 პროცენტს, წელს მოკრეფილია 30.306 ტონა და თვიური გეგმის შესრულება უდრის 87,9 პროცენტს.

აჭარის ასს რესპუბლიკამ ივლისში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულა 79,7 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ — 88.5 პროცენტით, მახარაძის რაიონმა — 82,8 პროცენტით, ლანჩხუთის რაიონმა — 75,7 პროცენტით, ზუგდიდის რაიონმა 87,5 პროცენტით, გალის რაიონმა — 84,0 პროცენტით. ქობულეთის რაიონმა — 78,4 პროცენტით, ოჩამჩირის რაიონმა— 83,1 პროცენტით...

როგორც ვხედავთ, მეჩაიეობის ყველაზე დიდი და მოწინავე რაიონები ჩამორჩებიან წელს ჩაის კრეფაში. ამ რაიონების ჩამორჩენა დიდ საფრთხეს უქმნის

წელს პირველი აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 112.377 ტონა ჩაი, შარშან — 114.457 ტონა

✦

ზვიდწლედის მესამე წელს საქართველოს მეჩაიეებმა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა რაიონმა, მათ შორის ჟუდაუთის, სოხუმის, წალენჯიხის, ცხაკაიას, წყალტუბოს და სხვა რაიონმა ჩაის კრეფის ივლისის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს.

ჩაის კრეფის სეზონი თანდათან იწურება. მწვანე ბუჩქის ვეგეტაცია ისეთივე ძლიერი და ინტენსიური როდი იქნება, როგორც ეს წინა თვეებში იყო. ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ჯერ კიდევ ბევრი ხელდეული დამზადება ესაჭიროება და ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა მეჩაიეებმა.

დრო არ ითმენს, ამხანაგო მეჩაიეებო! ნაკისრი ვალდებულება კანონია. რადაც უნდა დაჯდეს, წელს სამშობლოს უნდა მივცეთ 165 ათასი ტონა ჩაი. ამისათვის კი საჭიროა ყველა ღონისძიებით გამოვიყენოთ სეზონში დარჩენილი დრო, არ დავზოგოთ ძალა და ენერგია, ყოველდღიურად ვკრიფოთ მეტი და ხარისხოვანი ჩაი, რათა პირნათლად შევხვდეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ამ საქმეში კვლავ დიდი პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ, ისე უნდა წარმართონ ადგილებზე მეჩაიეთა მუშაობა, რომ ნაკისრი ვალდებულება აუცილებლად შესრულდეს.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის რაიონი მეჩაიეობის ერთ-ერთი დიდი და მოწინავე რაიონია. თვითეული კოლმეურნეობის, თვითეული საბჭოთა მეურნეობის წარმატებას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მეჩაიეთა საერთო წარმატებაში.

სამწუხაროდ, რაიონის ყველა კოლმეურნეობის მეჩაიეები როდი ფიქრობენ ასე. ზოგან შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ, ხოლო ამას ის შედეგი მოაქვს, რომ რაიონმა ივლისში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა ვერ შეასრულა. უნდა მოკრეფილიყო 4.425 ტონა ჩაი, მოკრეფილია 3.873 ტონა, ე. ი. ივლისის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 87,5 პროცენტით.

ასეთი ჩამორჩენის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ზოგან კოლმეურნეები მაქსიმალურად არ იყენებენ დროს „მწვანე ოქროს“ საკრეფად.

გუშინ, მაგალითად, სოფელ გრიგოლიშის კოლმეურნეობაში კრეფის დღიური დავალება არ შესრულებულა. უნდა მოეკრიფათ 3.000 კილოგრამი, მოკრიფეს 1.100 კილოგრამი.

ცუდად იმუშავეს ამ დღეს ბრიგადებმა, რომლებსაც იპოლიტე ხასია და ესტატე ლაგვილავა ხელმძღვანელობენ. ხასიას ბრიგადაში გუშინ ნაცვლად 250 კილოგრამისა მოიკრიფა 180 კილოგრამი, ლაგვილავას ბრიგადაში ნაცვლად 250 კილოგრამისა — 220 კილოგრამი.

ცუდად მუშაობენ მეჩაიეები ვ. ხასია, მ. ქობალია, გ. კვირცხალია და სხვები.

მეგობრეშუმეთა წარჩინება

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). რაიონში საველი მოიხვეჭეს მამათელმა მეაბრეშუმეებმა, რომელთა შორის გამოირჩევა მოხუცი კოლმეურნე პაშა კილაძე. მან 145 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩაბარა წარმოებას ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 კილოგრამისა.

დიდად არ ჩამორჩება მას თანასოფელი ლუბა შევარდნაძე. მამათელმა მეაბრეშუმეებმა 10.200 კილოგრამი პარკი დამზადეს, რაც წლიური დავალების 192 პროცენტს შეადგენს.

ერთი მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი“. ბროშურის ტირაჟია 1 მილიონი ეგზემპლარი. (საკადესი).

რაღ ჩამორჩენ?

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის რაიონი მეჩაიეობის ერთ-ერთი დიდი და მოწინავე რაიონია. თვითეული კოლმეურნეობის, თვითეული საბჭოთა მეურნეობის წარმატებას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მეჩაიეთა საერთო წარმატებაში.

სამწუხაროდ, რაიონის ყველა კოლმეურნეობის მეჩაიეები როდი ფიქრობენ ასე. ზოგან შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ, ხოლო ამას ის შედეგი მოაქვს, რომ რაიონმა ივლისში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა ვერ შეასრულა. უნდა მოკრეფილიყო 4.425 ტონა ჩაი, მოკრეფილია 3.873 ტონა, ე. ი. ივლისის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 87,5 პროცენტით.

ასეთი ჩამორჩენის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ზოგან კოლმეურნეობა

165.000 ტონა ჩაისათვის!

ზრომაში გამარჯვებულნი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების 1961 წლის მეორე კვარტალის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საქართველოს ეკონომიური რაიონის საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და მნიშვნელოვანი შრომითი მოგებანი მოიპოვეს. მთლიანი პროდუქციის წარმოების წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ **104 პროცენტით შეასრულა.** გეგმის გადამეტებით ამოღებულია ათასობით ტონა მარგანეცის მადანი, წარმოებულია ბევრი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილი, ავტომობილი, ცემენტი, ქსოვილები და სხვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მოიპოვეს **ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, საქართველოს შახტმშენის ტრესტის საქართველოს შახტმონტაჟის სამმართველოს კოლექტივებმა.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა **ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მ. ი. კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის, თბილისის ქარხანა „ელექტროვტომატის“, გაგრის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის, თბილისის თუჯ-ფოლადსამსხმელო ქარხნის, აცანის ჩაის ფაბრიკის, თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, საქართველოს შაქრის კომბინატის, თბილისის კერამიკული კომბინატის, საქართველოს შახტმშენის ტრესტის მადნეულმშენის შახტსაშენებელი სამმართველოს კოლექტივებს.**

მეორე ფულადი პრემიით დაჯილდოვეს **საქართველოს ქვანახშირის დაზვერვის ტრესტის, ტყვარჩელის გეოლოგიური საზვერი პარტიის, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს, საქართველოს გუშბრინის მაღაროსამმართველოს, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტ ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლატის“, თბილისის თბოელექტროცენტრალის, თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის, № 2 თამბაქოს ფაბრიკის, კოტაისის წინდის „ფაბრიკის, № 1 ღვინის ქარხნის, თბილისის ლიქიორის ქარხნის, ავჭალის მინის ქარხნის, ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკის, საქართველოს შახტმშენის ტრესტისა და საშენ მასალათა სამმართველოს ქუთაისის აგურის ქარხნის კოლექტივებს.**

მესამე ფულადი პრემია დაიმსახურეს **საქართველოს ნავთობის ტრესტის კაროტაჟ-ტამპონაჟის ექსპედიციის, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, ტყიბულის შახტმშენის სამშენებლო სამმართველოს დამხმარე საწარმოთა კომბინატის, საქართველოს ასაფეთქებელ ნივთიერებათა მრეწველობის სამმართველოს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს, ფოთის ქარხანა ელექტროაპარატის, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის, თბილისის ელექტროკაბელის, თბილისის ხაუელირო ფაბრიკის, თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის, ქუთაისის № 8 სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის, ბორჯომის ხორცკომბინატის, ჩოხატაურის № 2, ბაილეთის, ლაითურისა და გურიანთის ჩაის ფაბრიკების, კავთისხევის კარიერთა სამმართველოს, ტყიბულის შახტმშენის სამშენებლო სამმართველოს დამხმარე საწარმოთა კომბინატის კოლექტივებმა.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ აღნიშნეს **ბორჯომის მინის ქარხნის კოლექტივის კარგი მუშაობა.** (საკადესი).

კომუნიზმი — ჩვენი ხვალინდელი დღე

ფიქრები პროექტის კითხვის დროს

„ხაკპ აყენებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას — უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალიზმის ყოველ ძველყანასთან შედარებით“.

გიორგი ნატროშვილი.

ნაიკითხავთ პროგრამის პროექტში ამ სიტყვებს და ჩაბეჭდეთ სტრიქონებს. და აი ზედიზედ მოსდევს ერთიმეორეს ყოველ აბზაცში სიტყვა **უფასო**: ბავშვების უფასოდ შენახვა... უფასო განათლება... უფასო წამალი და ექიმი... უფასო ბინა... უფასო ტრანსპორტი... უფასო სანატორიუმი და კიდევ ვინ მოთვლის... და ყოველივე ამას ჩვენი თაობა მოესწრება, ყოველივე ეს იქნება ჯერ-ლდო იმ ბეჯითი და ვაჟკაცური შრომისათვის, ურომლისოდაც კომუნიზმი წარმოუდგენელია.

კაცობრიობის ხანგრძლივ ისტორიაში სოციალიზმმა პირველმა დასდო ფასი შრომას, პირველმა დასდო ფასი კაცის და ქალის ვაჟკაცურ მარჯვენას, პირველმა დაადგა ნათელი მის მადლსა და ბარაქას, მან პირველმა აუკრძალა შიმშილს ყოფილიყო მუდმივი ბინადარი ადამიანის სამყოფელში, ყოფილიყო მუდმივი თანამგზავრი კაცისა, რომელიც იძულებული იყო მთელი სიცოცხლე ქვირაზე გასულს ეხეტიალნა.

მე აქ მაგალითებისათვის არ დავიმოწმებ არც ლიტერატურულ და არც ისტორიულ წყაროებს; ეს არა მჭირდება, კარგად მახსოვს, როგორი იყო კახეთი კაპიტალიზმის დროს, მახსოვს მაშინდელი შრომა და პირველი ფალავანი შრომაში — დიმო თარალაშვილი. ის მთელ შირაქში ყველაზე კარგი მკელი იყო და სოფლის ბობოლებს, დიდი ყანების პატრონებს ჩხუბი მოსდოდათ ხოლმე, ვის ყანაში უნდა ემუშავნა მას მომავალ ზაფხულს. ეს გასაგებიც იყო — დიმო მუშაობდა ოთხ კაცზე მეტს. მან იცოდა თავისი მარჯვენის ფასი, და როცა ყანები გაიჭრებოდა, მაშინ წუთსაც არ გაცდენდა. შირაქში, სამუშაოზე მიმავალს, ახლო ნაცნობი რომ შეხვედროდა გზაზე და გაეჩერებინა, დიმო მწყრალად შეუტევდა:

— ნუ მაცდენ, ძმაო, გენა არ იცი, რომ დღეში კოდი ვღირვარ!

ეს მარტო დიმოს ნიბრი იყო. ხოლო ჩვეულებრივ მკელს ოთხჯერ ნაკლები ეძლეოდა და არ იფიქროთ, რომ დამქირავებელი აგებდა. როცა დიმო მგელივით შეგარდებოდა ყანაში და მუშაობას დაიწყებდა, ვერავინ ვეღარ გაჰყვებოდა, ყველას უკან ჩამოიტოვებდა, ბრდღვინავდა ყანაში, მისი ერთი ხელეური მთელ ძნასა ჰგავდა, ხოლო მისი ათეული — თაია გეგონებოდა.

ერთი სიტყვით, ეს იყო ყველაზე მაბაცი მშრომელი და... ყველაზე ღატაკი კაცი მთელ სოფელში. რათ უნდოდა საწყალს, თავის წუთები რომ უფრთხილდებოდა — ნუ გამაცდენთო, რატომ არ იცოდა, რომ მარტო ეს წუთები კი არა, მთელი სიცოცხლეც მისი არ იყო. ამბრა იყო მისი ცხოვრება: ზამთარს როგორლაც გაათრევდა, მომავალი ზაფხულის ანგარიშში რომელიმე ბობოლას თითო ლიტრაობით პურს ესესხებოდა და ისინიც იმ ზამთარში პურს მამასესხლად დაუფასებდნენ, რომ ზაფხულში ხელში პყოლოდათ, ხოლო გაზაფხულზე ვიდრე ყანები გაიჭრებოდა, მისი ჭვრილფეხობა მოედებოდა ხოლმე ახლომახლო ფერდობებს (ძლიერ ბევრი ბავშვი ჰყავდა, არც მახსოვს რამდენი სული, ეს კი იყო, ყველანი სანახეგროდ შიშველ-ტიტველნი დადიოდნენ). იქნებ გეგონოთ, გაზაფხული უხაროდათ პატრუნს, ჭრელ-ჭრელ ბილილებს შეჰხაროდნენ, იასა და ფურისულას! არა, გაზაფხულის სილამაზეს მათთვის აზრი არა ჰქონდა, რადგან შიოდათ. მოქდებოდნენ, მოეფინებოდნენ ამწვანებულ მდელოს და მხალსა ჩარეფდნენ. ეს იყო ახლა მათი ხაზრდო და მარტო ამიტომ უყვარდათ გაზაფხული.

ჰო, ასე იყო... შირაქში მამის მიერ მომეკალ პურს კი არა, ღოლოსა და ჯინჯარს, სატაცურსა და ყვავისფრჩხილას უნდა დაეზარდა ეს ბავშვები. დიმო ჩემი მეზობელი იყო და მახსოვს ყვავისფრჩხილასა და ჩალამბარას უმადაც ჭამდა ხოლმე, ფოთლებსა და ღეროებს მარილს დაყარდა და შეექციოდა, ისე როგორც დავით გურამიშვილი დალესტნის მიუვალ მთებში ტყეობიდან გაქცევის დროს: „პური არა მაქვს, მიბოძე, მშიან, მაჭამეო... არსობისა პურს გამყარე, შამბი მაძოეო! დავიკრიფე ყოვისფჩხილი და ისი ვსჭამეო“.

კიდევ ერთი სურათი მიდგას თვალწინ. დაღლილი და დაქანცული, მშიერი და ქანცგაწყვეტილი დაბრუნდა დიმო მინდვრიდან, ძლივს ჩახარა მუხლი და ცოლს გასძახა:

— დედაკაცო, ხარშო გააკეთე!

ეს ის ხარშო არ გეგონოთ, რომელიც ყველა საუკეთესო რესტორნის მენიუში საპატიო ადგილი უჭირავს. მაშინ ქიზიყში ხარშოს სულ სხვა რამეს ეძახდნენ: ტაფაში ჩასჭრიდნენ ცოტაოდენ ხახვს, ზეთს დაასხამდნენ, მოშუშავდნენ და მერე ტაფას წყლით ავსებდნენ. ეს იყო და ეს. ჰოდა, დიმოს ცოლმაც სულ უცებ დაამზადა ეს ღარიბების ხარშო, დიმომ მთლიანად გადმოასხა ორჯამიანში, ჩაიმტვრია პური და კოვზს რომ ხელი წაატანა, მაშინღა შეამჩნია, რომ მთელი თავისი გოგო-ბიჭობა ირგვლივ შემოხვეოდა და ყველას თვალები იმ ჯამში იცქირებოდა. კოვზი ხელში გაეყინა მამას, მიხვდა, რომ ბავშვები მშივრები იყვნენ, მიხვდა, და მაინც მხნედ, თითქოს გულგახატები არაფერი ჰქონოდეს, წამოიძახა, ხმა კი სიბრალულით უთრთოდა:

— ბიჭო, გიო, რას უდგეხარ, შვილო, მოდი აიღე... შენცა, თებრო, მოდი, გოგო, აბა ჰა... მანანაც გამოატარეთ, პატარა რომ არის, ისიც ამ ბრიგადის მამის გოგოსა... შენც მოდი, ილავ, შენცა, ნატო... აბა თქვენი ჭირიმეთ, აბა შეექეცით, აბა გამახარეთ...

მერე წუთში ჯამი ცარიელი იყო, ლუკმა არ შეხვედრია დიმოს. გაბრაზდა კაცი და ისევ გასძახა ცოლს:

— დედაკაცო, ხარშო გააკეთე-მეთქი, არ გითხარი? — ისე უთხრა ეს, თითქოს ცოლს ხელიც არ გაეხლრიოს.

ცოლმა ისევ შემოდგა ტაფა ცეცხლზე, ისევ ავსო დიმომ ჯამი, ისევ ჩაიმტვრია პური, ისევ შემოხვევნენ გოგო-ბიჭები და იგივე ამბავი გამეორდა, რაც წეღან:

— ნატო, შენ წეღან ცოტა შეგხვდა, მოდი აიღე, გოგო...

მოიხედა დიმომ და ჯამი ისევ ცარიელა იყო, მაშინ კი გაბრაზდა, წამოხტა ეს დალლილი, დაშეული კაცი და ცოლს ბრაზით გასძახა:

— შე ოჯახდაქცეულო, რას ჩააცივდი ამ ტაფას, ეს გვეყოფა ჩვენა?.. შეხედე, რამდენი ვართ, — გადაავლო გაბრწყინებული თვალი ერთიმეორეზე მიყოლებულ გოგო-ბიჭებს. მერე ვეება ქვაბი გადმოიღო, მთელი კოკა წყალი მიუშვა შიგ და ცეცხლზე შედგა, თან ცოლს უთხრა:

— აი, დაიხსომე, მუდამ ასეთი მდიდრული სადილები უნდა აკეთო!

ეს საოცარი იუმორის გრძნობაც ჰქონდა დიმოს.

ეს იყო ჩვეულებრივი სურათი იმ შიერაქში, რომელიც სავსე იყო ცხვარ-ძროხით, ბარაქით, ყველითა და ერბოთი, პურითა და რძით, და ეს, აი ეს შიერაქი ყელამდე სავსე იყო შიმშილით, სიღატაკით, სიბეჩავით, და ყველაზე გამრჯე და ყველაზე პატიოსანი კაცის საზრდო მარილდაყრილი ჩალამბარა იყო. და ეს იმიტომ, რომ ეს იყო შირაქი კაპიტალიზმის დროს.

ვატყობ, ახლა კი ვეღარ ავცდები ნყაროს დამოწმებას— თანამედროვე ბრაზილიელმა მეცნიერმა ჟოზუე დე კასტრომ, რომელიც თავმჯდომარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულ სასურსათო და სოფლის მეურნეობის საქმეთა მომწესრიგებელ კომიტეტს, თავის ვრცელ ნაშრომში „შიმშილის გეოგრაფია“ კონკრეტული მაგალითებითა და ციფრებით ნათელყო, რომ მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორია — ეს არის უამრავი თაობის შიმშილით წამების ისტორია, რომ შიმშილმა დედამიწაზე გაწყვიტა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა ომმა და ყველა ეპიდემიამ, რომლებიც კი კაცობრობას ახსოვს. მე არ შევუდგები იმ საშინელი ციფრებისა და ფაქტების ამოწერას, რომლებითაც სავსეა ბრაზილიელი პროფესორის ოთხასგვერდიანი წიგნი, ეს შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: ჟოზუე დე კასტრო სულაც არ არის კომუნისტი, მაგრამ იგი სინამდვილეს ვერსად გაექცა — იძულებული გახდა ეთქვა, რომ ადამიანის ხსნა შეუძლია მარტო იმ გზას, რომელიც ლენინმა უჩვენა კაცობრობას. დედამიწის ხალხთა ცხოვრების, მათი ისტორიის ჭკვიანურმა ანალიზმა ეს მეცნიერი, თავისდაუნებურად, იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მარტო კომუნიზმს შეუძლია იხსნას ადამიანი სოციალური უთანასწორობისაგან, ყველა ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან.

ადამიანის ხსნის ეს გზა დასახა კომუნისტური პარტიის პირველმა პროგრამამ ჯერ კიდევ ჩვენს საუკუნის გარიჟრაჟზე: ჯერ კიდევ ჩვენს შორის არიან ცოცხალი მოწმენი იმ ისტორიული ბრძოლებისა, რომელიც დაიწყო პარტიამ კაპიტალიზმის დასანგრევად. როცა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ძველი რუსეთის იმპერია და ქვა ქვაზე აღარ დატოვა ექსპლოატატორთა წოდებრივი და კლასობრივი პრივილეგიებისაგან, 1919 წელს პარტიამ მიიღო მეორე პროგრამა, რომელმაც კვლავ გაუკვალავი გზით წაიყვანა ჩვენი საშობლო სოციალისტური საზოგადოებისაკენ; და ახლა, როცა სოციალიზმმა საბჭოთა კავშირში საბოლოოდ და მთლიანად გაიმარჯვა, თავისი მესამე პროგრამის პროექტით პარტია ახავს ამოცანას—ორ ათეულ წელში განახორციელოს კაცობრიობის ყველაზე ნათელი ოცნება — კომუნიზმი, რომლის ხილული ნიშნები უკვე ყოველ ნაბიჯზე ჩანს ჩვენს ცხოვრებაში.

• •

რაოდენ ფიქრსა და მოგონებას აღძრავს ახალი პროგრამის პროექტის ყოველი პუნქტი, ყოველი სტრიქონი, ის გვინერგავს და განგვიმტკიცებს სამშობლოს უძლეველობის რწმენას. სამამულო ომის წლების შესახებ პროექტში ნათქვამია, რომ ეს იყო „ყველაზე მძიმე ომი იმ ომებიდან, რომლებიც კი ოდესმე ყოფილა ისტორიაში. ამ ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ დაადასტურა, რომ მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს სოციალისტური საზოგადოების წინსვლითი განვითარება“.

ყველაზე მძიმე ომი იმ ომთა შორის, რომლებიც კი ახსოვს კაცობრობის ისტორიას! მე მაგონდება ე. წ. ფდაბნოს ზონები სმოლენსჩინის მიწაზე, სადაც ჰიტლერელებმა ნამდვილი ჯოჯოხეთი მოაწყეს. გადამწვარი სოფლებიდან ხალხმა ტყეებს მიაშურა, სადაც ზამთარში საზრდოს შოვნა შეუძლებელი იყო. ცხრაას ორმოცდაორი წლის ზამთარში, ტყეში, მდინარე უგრას ნაპირზე საიდანღაც პატარა გოგონა მოვიდა ჩვენს მებრძოლებთან — საშინელი შესახედავი იყო, შიმშილს უკვე დაესიებინა. მოვიდა და თქვა, რომ სადღაც ახლოს მიწურებში შეიფარეს თავი და კარტოფილის ნაფცქვენი ითხოვა, „ლეპიოშკა“ უნდა გამოვაცხოთო. ეგონა მთელი პოლკი აქ დგას და საველე სამზარეულოც აქვე ექნებათო.

ჩვენ კარტოფილის ნაფცქვენი არა გვქონდა, მაგრამ მივეცით ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა — პური, ძეხვი და ხორცით შეწავებული მწვანე ლობიო, ისე გაეინული, რომ ნაჯახით უნდა დაგემტვრია. მივეცით ეს ყველაფერი, არ დგავიზოგავს, ამას კი არა, სულს არ დაზოგავდა კაცი, ისეთი საცოდაობის მოწმენი ვიყავით, მაგრამ რა ვიცოდით, რომ თურმე მადლს კი არა, ცოდვას ჩავდიოდით: მათ იმდენხანს ეშიშვილათ, რომ ამ საბმელების მათთვის მიცემა არ შეიძლებოდა. ჩვენ ამა საიდან გვეცოდინებოდა ეს, როცა ასეთი შეცდომა მარტო ჩვენ კი არა, მედიცინის სპეციალისტებსაც მოსდოდათ თურმე. უკვე ომის შემდეგ წავიკითხე: 1945 წელს, 12 აპრილს, მოკავშირეთა სამედიცინო პერსონალი და წითელი ჯვრის სპეციალისტები ბერგენ-ბელზენის სიკვდილის ბანაკს რომ ეესტუმრნენ, ათასობით ადამიანები დაინახეს, რომლებიც შიმშილს ლანდებად ექცია. სპეციალისტებმაც კი არ იცოდნენ, როგორ დახმარებოდნენ ამ ადამიანებს — მისცეს მათ ჯერ გახეხილი საკმელი, ვენებში სპეციალური სითხე შეუშუბაპუნეს, მაგრამ ამას კატასტროფული შედეგი მოჰყვა... ჯოჯოხეთგამოვლილებს ახალი წამება არაუნეს და ათასობით ადამიანი იმ ტანჯულთაგან ვეღარავრით გადაარჩინეს; ბოლოსაც მიხვდნენ, რომ ამ შემთხვევაში მათთვის ყველაზე საუკეთესო საკმელი — მოხდილი რძე იყო.

ვინ მოთვლის, რა ენა იტყვის, რა კალამი აწერს იმ ჯოჯოხეთს, იმ საშინელ ჭირსახდელს, რაც ომებს ადამიანისთვის მოუტანიათ. და რაოდენ კეთილ იმედებს, რაოდენ სიხარულს აღუძრავს მთელ მსოფლიოს ლენინის პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, ეს ახალი კომუნისტური მანიფესტი, რომელიც სახავს გზებს მარადიული მშვიდობისაკენ. ყოველი კომუნისტი, ყოველი მშრომელი აქ ნათლად ხედავს, რა უნდა გაკეთოს, რომ ეს სანატრელი ხვალინდელი დღე დაამკვიდროს აწ და მარადის. „კომუნიზმის ისტორიული მისია, — ვკითხულობთ პროექტში, — მოსკოს ომები, დაამკვიდროს დედამიწაზე მარადიული მშვიდობა“. ეს ხომ ოდითგანვე ყველაზე დიდი ნატვრა იყო ადამიანისა; 1705 წელს გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა დაწერა წიგნი „მარადიულ მშვიდობაზე“, მაგრამ პრაქტიკული განხორციელება ამ იდეალისა მან გადასწია სადღაც შორეულ, ნისლით მოცულ, აუხდენელ მომავალში. იმ დროს ეს გასაგებიც იყო და კენიგსბერგელ ბრძენს აქ არაფერი დაეძრახება. მაშინ არ იყო ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა ომს; მაშინ მარადიული მშვიდობა ოცნება იყო, ილუზია იყო, დღეს კი ეს პრაქტიკული ამოცანაა, რომელსაც კომუნიზმი აყენებს კაცობრიობის წინაშე; პროგრამის პროექტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენს ძალებზე, იგი გვიჩვენებს, რომ მძლავრი სოციალისტური ბანაკის, მშვიდობისმოყვარე არასოციალისტური სახელმწიფოების, საერთაშორისო მუშათა კლასის გაერთიანებული ძალებით და ყველა იმათი ძალებით, ვინც მშვიდობის საქმეს იცავს, შეიძლება თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომი.

და პროგრამის პროექტი გვიჩვენებს რეალურ გზებს, თუ როგორ უნდა განახორციელონ ხალხებმა ეს უაღთილშობილესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა.

პროგრამის პროექტი საქვეყნოდ აცხადებს:

უზრუნველვყოთ სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, არ დავუშვათ არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში, ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე!

ამას მოითხოვს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკა, და ეს ახალ მძლავრ სტიმულს აძლევს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს თავიანთი ეროვნული განვითარების გზაზე. მათ შორის სტიმულს გვაძლევს ჩვენ, ქართველებს, უფრო მეტად განვავითაროთ ჩვენი ენა — რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ენა, გავუფრთხილდეთ მას, დავიცვათ და წინ წავწიოთ.

ათასეული წლები უბრძოლნიათ ქართველსაც და სომეხსაც, ბელორუსსაც და უკრაინელსაც, რომ თავიანთი ენა გადაეარჩინათ. განა სამამულო ომშიც ასე არ იყო: „მტერი მოდის, კისერზე რომ ულელი დადგადას, ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი“,—ეძახოდა პოეტი ფრონტზე წასულ ქართველებს, და რამდენმა ვაჟკაცმა დასდო თავი, ოღონდ ეს ენა და მთელი სამშობლო გადარჩინა...

ბოდა, შენ, პატარა პირველკლასელო, დედა ანბანს რომ მოგცემს ხელში და ხელჩაკიდებულს სკოლაში წაგიყვანს პირველ დღეს, დაიხსომე, ბიჭუნავ, თუ გოგონავ, არ დაგავიწყდეს, რა ზღვა სისხლის, რა ცხლით ღრჭენის, რაოდენი ცრემლის, რა ტანჯვის ფასად დავიცავით და გადავარჩინეთ შენი დედაენა. ეს პატარა წიგნი, ჩანთაში რომ გიდევს... რევოლუციამდე შენი დედაენა დევნილი იყო და მას ფრთა შეუხსა მხოლოდ იმ თავისუფლებამ, რომელიც ლენინის პარტიამ მიუტანა ხალხებს. ისინი ამედი უნდა გქონდეს, ის გაგიყვანს დიდ ქვეყანაზე, დიდ გზებზე.

გაგიყვანს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ შენს ნიადაგში ფესვგამდგარსა და ღონიერს — აღარც მოძმის ენის შესწავლა გაგიჭირდება, პირიქით, გაგიადვილდება კიდევაც. უამისობა არც იქნება, ჩვენ ხალხთა ძმობის ქვეყანაში ვცხოვრობთ, და არ შეიძლება ძმამ ძმის ენა არ იცოდეს.

ჩვენს კულტურას, შინაარსით სოციალისტურსა და ფორმით ეროვნულს, საფუძვლად მაღალი ინტერნაციონალიზმი და წმიდათა-წმიდა საბჭოთა პატრიოტიზმი უდევს. ეს განაპირობებს მის ბუმბერაზულ ძალას და ზემოქმედებას მშრომელთა მილიონებზე.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები შეუნელებელი ყურადღებით სწავლობენ ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს.

სურათზე: მოსამზადებელი საამქროს სამასრე განყოფილების მუშები შესვენების დროს. ფოტო ბ. დადვაძისა.

მრეწველობის დიდება

ს. თოლაძე,
თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანი.

ქარხნის საამქროებს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა მშობლიური პარტიის ახალი პროგრამის პროექტის გამოქვეყნების შესახებ. საამქროთა აგიტატორები ცალკეული თავების მიხედვით განუმარტავენ მუშებს სკკპ პროგრამის პროექტს — ამ საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდეს დოკუმენტს.

ეცნობი სკკპ ახალი პროგრამის პროექტს და კანონიერი სიამაყის გრძნობა გეუფლება, რადგან გწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი თვალწინ დენინ სამშობლოს მიწაზე დამკვიდრდება კაცობრიობის სანუკვარი მომავალი — კომუნიზმი.

როცა პარტია თავისი პირველი პროგრამის განხორციელებისათვის იბრძოდა, ჩვენი ქარხნის მუშები აქტიურად გამოვიდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და მეწმენდეკური ბატონობის წინააღმდეგ. პარტიის პირველი პროგრამა შესრულდა. ჩვენს ქვეყანაში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა.

პარტიის მეორე პროგრამის — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაშიც არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქარხნის კოლექტივმა. მან აჩვენა შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების შესანიშნავი ნიმუშები, როცა აღადგენდა მეწმენდეკების მიერ გაპარტახებულ ქარხნის მეურნეობას. ქარხნის მუშებმა მოაწყეს მასობრივი შაბათობები ზემო აკაპალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე, იყენენ დიდი ხუთწლეددის დამკვრელთა პირველ რიგებში. და აი 1923 წლის თებერვალში ქარხანა დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. შრომითი დიდების სახელოვანი ესტაფეტა თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ვის არ სმენია ქარხნის შესანიშნავი ნოვატორების — მეკედელ დავით ჭიჭინაძის, ჩქაროსან ხარატ ილია ჭუმბურიძის, სოციალისტური შრომის გმირის მეკედელ კონსტანტინე ილურიძის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ხარატ ალექსანდრე მარგველაშვილის და სხვა მრავალ შესანიშნავ ადამიანთა სახელი. ქარხანა სამართლიანად ამაყობს იმით, რომ რესპუბლიკაში ყველაზე პირველად მისი კოლექტივის ახალგაზრდა წევრი, ხარატი რევაზ სიხარულიძე გამოვიდა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოპოვებისთვის ბრძოლის ინიციატორად. რესპუბლიკაში ერთერთ პირველს, მოტორვაგონიანი სექციების საამქროს, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი მერაბ გაგუნაშვილი ხელმძღვანელობს, კომუნისტური შრომის საამქროს სახელი მიენიჭა. ამ საამქროს ყოველი მესამე მუშა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საშუალო და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება აქ კანონად იქცა, გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა — თვითეული მუშის პატრიოტულ მოვალეობად.

და აი ჩვენს წინაშეა პარტიის ახალი, მესამე პროგრამის პროექტი, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა. ჩვენი ქარხნის კოლექტივი, ეგებება რა მშობლიური პარტიის XXII ყრილობას, რომელიც უნდა განიხილოს და დასახოს კომუნიზმის მშენებლობის უდიდესი ამოცანები, ამისათვის იბრძვის, რომ კვლავ ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ახალი პროგრამის პროექტის პირველი გაცნობისთანავე ქარხნის მუშები ერთსულოვნად აბმობენ „შრომა უფრო სახალისო ხდება, რადგან იცი, რომ სულ ახლოა უფრო ბედნიერი მომავალი“.

მაგრამ ჩვენი ბედნიერების მშენებლნი ჩვენ თვითონ ვართ, საჭიროა გავაღიდოთ პროდუქციის წარმოების მოცულობა, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, ყველა საამქროში შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრების პროცესში ელინდება ყოველივე ახალი, შესანიშნავი, რომელიც თვით შრომის ადამიანებს ანიჭებს დიდ მორალურ კმაყოფილებას, იქედება ახალი ადამიანის ხასიათი.

თანამოსაქმეთა შორის დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვეს ელექტროშემდუღებლებმა ლუკმან ახმეტოვმა და ბორის ბალაშოვმა, რომლებიც პირველი პატრონელების სახელს ატარებენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სამგზავრო ვაგონების შემკეთებელი საამქროს დურგალი კონსტანტინე ბერიკაშვილი, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოიხმარა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას. ნოვატორმა დურგალმა სერგო ტიგრანიანმა შექმნა კომპლექსური ბრიგადა, რომლის წევრებიც სარემონტო ვაგონზე 6 სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებენ.

როგორც აღნიშნულია სკკპ პროგრამის პროექტში, **კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსში** შედის ერთ-ერთი ასეთი პრინციპი: **„— კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.**

ეს პრინციპი ფართოდ იკიდებს ფეხს ჩვენს ქარხანაშიც. შრომის პროცესში იბადება კომუნისტური ჩვეულება. ახალგაზრდა ინჟინერმა, რაციონალიზატორმა ალექსანდრე სამანიშვილმა იკისრა რამდენიმე ახალგაზრდა მუშას კარგად შეასწავლოს სიინჟინრო ნახაზების კითხვა და საწარმოო პროცესების ტექნოლოგია. სიყვარულით მოკიდა ხელი ამ საქმეს და სამი ახალგაზრდა მუშა უკვე ჩაბმულნი რაციონალიზატორთა მუშაობაში.

ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად! — ამ დევიზით კვლავ შესანიშნავ წარმატებებს აღწევს მოტორ-ვაგონიანი სექციების შეკეთების კომუნისტური შრომის საამქრო, რომლის კოლექტივმაც მიმდინარე წლის ექვს თვეში შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით გაზარდა. ეს კი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე წინსვლის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

ასე ვიზრდეგით, ასე ვმაღლდეგით!



ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა (მილიარდ კილოვატსაათებში).

ასეთია მთავარი ეკონომიური ამოცანა

პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ ორი ათწლეულის მანძილზე შექმნან **კომუნიზმის მატერიალური ტექნიკური ბაზა.** ეს ნიშნავს: ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში; საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, მათ სულ უფრო სრულ ავტომატიზაციას; ქიმიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში; წარმოების ახალი, ეკონომიურად ეფექტიური დარგების, ახალ სახეობათა ენერგიისა და მასალების ყოველმხრივ განვითარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან.

მარჯვენის ძალა

გ. ჭანტურია,
წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე.

აბა გონების თვალი გადაავლეთ ჩვენი დიდი ქვეყნის ზღვრამდისტოვან ველ-მინდვრებს, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით ნაგებ ფაბრიკებს, ქარხნებს, ქალაქებს, დოვლათით სავსე სოფლებს, და ერთხელ კიდევ ნათელი გახდება, თუ რა თავისუფალი, ლაღი, უძლეველი და სალი კლდესავით მტკიცეა საბჭოთა ადამიანის მარჯვენა.

ახლა, როცა მშობლიური კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს ვკითხულობ, როცა ღრმად ვფიქრდები მის თვითეულ სტრიქონს, გული სიხარულით, კანონიერი სიამაყის გრძნობით მევსება. და როგორ შეიძლება არ გიიხარო, სულიერად არ ამაღლდე, როცა პარტია და საბჭოთა მთავრობა ასე ზრუნავენ ადამიანზე, როცა ჯერ არნახული სიკეთით ავსებენ მის ბედნიერ აწმყოსა და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალს.

„საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების გრანდიოზული პროგრამის შესრულებას, — ნათქვამია გამოქვეყნებულ პროექტში, — მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ექნება. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ხალხს აშრომოს ბეჯითად, შთაგონებით. ყოველმა მშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში“.

პარტიის ეს მოწოდება თავდადებული შრომის წყურვილით აღავსებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს და მათ მორის ჩვენც—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ლია ერთი პატარა, ჩამორჩენილი, ღარიბი სოფელი იყო. სად ნახავდით აქ სამუალო სკოლას, საექიმო პუნქტს, კლუბს, ფოთიაქს, ბიბლიოთეკას ან სხვა კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებას. ახლა კი ლია რესპუბლიკაში ერთ-ერთი კულტურული, მძლავრი საკოლმეურნეო სოფელია. წინათ რომ ჩვენებურ გლეხს წერა-კითხვის სწავლა ენატრებოდა, ახლა მას შეუძლია საშუალო განათლება თავის სოფელშივე მიიღოს. აქაური გლეხიკაცისათვის სოფლის კვალობაზე კარგად გაწყობილი სახლი ოცნებას რომ წარმოადგენდა, აბა შეხედეთ ახლა კოპწიაზე წამოჭიმულ, ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულ ოდა-სახლებს!

ჩვენ არ ვაპირებთ ჩამოვთვალოთ ყველა ის სიკეთე, რაც ახლა აქვს ოდესღაც ღატაკ, მალარიით შეპყრობილ პატარა სოფელ ლიას. ახლა ამ სოფლის სიმდიდრითა და კეთილმოწყობით ვის გავაკვირვებთ! ვინ მოთვლის, რამდენი სოფელია საქართველოში ჩვენზე წინ ამ მხრივ. ჩვენი სურვილია მხოლოდ ხაზი გავუსვათ იმას, რომ პარტიის უკვდავი იდეებით განათებულ დიდ გზაზე, ჩვენი სოფლის მაგალითით უკვე ვხედავთ კომუნიზმის ყლორტებს და ეს ყლორტები თანდათან იზრდებიან, ხორცს ისხამენ, მტკიცედ იმაგრებენ ფესვებს ღონიერ საბჭოთა ნიადაგში.

პარტია გვასწავლის კომუნისტურად შრომას და ეს შრომა სასწაულებს ახდენს მთელ ჩვენს დიად სამშობლოში. ასეთი შრომით მოიპოვეს წარმატებები ჩვენი სოფლის კოლმეურნეებმაც ჩაის მწვანედ ახავრდებულ პლანტაციებში თუ ბალ-ვენახებში, „მინდვრის დედოფლის“ ყანებში თუ მეცხოველეობის ფერმაში.

ლიის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ჩაის პლანტაციები ასზე მეტ ჰექტარზეა გადაჭიმული. ამ პლანტაციებს თვალსაჩინოვით ეუფლით, და ეს შემთხვევითი როდია. ჩაი ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი მატერიალური წინსვლის საფუძველია. წლების მანძილზე ჩაი სხვა კულტურებთან ერთად მილიონობით შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას, ხოლო ეს იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ გაბედულად ვზარ

მშვიდობისა და სიუხვის გრანდიოზული პროგრამა

ასე აფასებს მსოფლიო სკკპ პროგრამის პროექტს

ბუქარესტი

ბუქარესტი, 3 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს ფართო კომენტარს უკეთებენ ბუქარესტის ცენტრალური გაზეთები.

„მუნკა“ მოწინავე სტატიაში სათაურით „კაცობრიობის ბედნიერებისათვის“ წერს: პროგრამის პროექტი აკამებს იმ სახელოვანი გზის შედეგს, რომელიც საბჭოთა ხალხმა განვლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხაზს უსვამს იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დიად სოციალისტურ გარდაქმნათა გამოცდილებას.

მთელ კაცობრიობას მიაჩნია, განაგრძობს გაზეთი, რომ ეს დოკუმენტი სინათლის მძლავრი წყაროა ჩვენი დროის ყველაზე საარსებო პრობლემების — ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების, მტკიცე მშვიდობის დამყარების პრობლემების გადასაჭრელად. ახლა, ისევე როგორც აქამდე, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მაღლა უჭირავს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დროშა, გამოხატავს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას და კვლავაც მუდამ იბრძოლებს ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებისათვის, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა.

ისტორიული დოკუმენტი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი მთელ კაცობრიობას მიაჩნია ახალი სამშვიდობო იმედების წყაროდ, აცხადებს „მუნკა“. კაცობრიობის გაზაფხული — კომუნიზმი — ფართოდ აღებს კარს. მთელ მსოფლიოში გაისმის კეთილმობილური და აღმაფრთოვანებელი მოწოდება: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“, მოწოდება მომავლისა, რომელსაც შექმნის კაცობრიობა.

გუდაკეშტი

გუდაკეშტი, 2 აგვისტო. (საკდესი). „ჩვენ მივესალმებით კომუნიზმის პროგრამის პროექტს!“ — ასეთი სათაური აქვს დღეს გაზეთ „ნეპსაბადშაგის“ ძოწინავე სტატიას, რომელიც მიძღვნილია სკკპ პროგრამის პროექტისადმი.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნულია სტატიაში, მთავარი ძალაა სოციალისტური ბანაკისა, რომლის სწრაფი პროგრესი გავლენას ახდენს სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე.

სკკპ პროგრამის ახალი პროექტი ჩვენთვისაც, უნგრელებისთვისაც სახავს ჩვენი ახლო მომავლის ძირითად ნიშნებს,

სხვა კომუნისტური პარტიებისა და მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში, განაგრძობს „ნეპსაბადშაგი“, მუდამ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ყრილობებს, ახლა პარტიის ახალი პროგრამის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პარტიის XXII ყრილობა იქნება ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, იგი დიდ დახმარებას გაუწევს მთელ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას, მათ შორის ჩვენს პარტიასაც და მთელ უნგრელ ხალხს, ის, რაზეც ლაპარაკია პროგრამაში, ერთსა და იმავე დროს გამოხატავს უნგრელ მშრომელთა გულმხურვალე მისწრაფებებს, რა სურს უნგრელ ხალხს? უწინარეს ყოვლისა მშვიდობის უზრუნველყოფა. ეს წითელ ზოლად გასდევს აგრეთვე სკკპ პროგრამის პროექტს.

ბერლინი

ბერლინი, 2 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. სელივერსტოვი იუწყება: გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჰაინეც ვილმანმა საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა: „ბაში, როცა იმპერიალისტური ძალები კვლავ აჩაღებენ სამხედრო ისტერიას, მოსკოვი აცხადებს გრანდიოზულ პროგრამას — მსოფლიო უომოდ, პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებისათვის თავისუფლებას, ბედნიერებასა და მშვიდობას.

იმათთვის, ვინც ესწრაფვის მშვიდობას, სკკპ პროგრამა ფასდაუდებელი სახელმძღვანელოა, ხაზგასმით აღნიშნა ჰ. ვილმანმა. იგი დამაჯერებლად ამტკიცებს სულელურ ლაყბობას „აღმოსავლეთიდან საფრთხის“ შესახებ, რომლითაც ომის გამჩაღებლები ცდილობენ დაასაბუთონ გამალებული შეიარაღება. ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ აღმოსავლეთიდან მოდის არა მარტო სინათლე, არამედ მშვიდობაც.

ჩვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს, სკკპ პროგრამა ძალას გვმატებს მშვიდობის გერმანული გეგმის განხორციელებისათვის, ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში, გვაძლევს მტკიცე რწმენას, რომ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი აღლაშვება და მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნება.

დელი

დელი, 2 აგვისტო. (საკდესი). კომუნისტური მშენებლობის დიდებულმა პერსპექტივებმა, რომელიც დასახულია სკკპ პროგრამის პროექტში, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ინდოეთის საზოგადოებრიობაზე. „საბჭოთა კავშირი გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწევს ეკონომიურ დარგში ისეთი სიჩქარით, რომელსაც კოსმოსური რაკეტები ავიათარებენ“, — აცხადებს გაზეთი „ნავ ბჰარათ ტაიმსი“.

„ახალ პროგრამას, — წერს გაზეთი „ფრი პრეს ჟორნალი“, — განასხვავებს იმისათვის სიამაყის გრძნობა, რაც უკვე მიღწეულია და იმის რწმენის გრძნობა, რაც მისაღწევია“.

როგორც ინდია პრეს ეიჯენსის სააგენტო იუწყება, დელის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეები განაცვიფრა საბჭოთა მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებამ 150 პროცენტით გაადიდოს ეროვნული შემოსავალი უახლოესი 10 წლის მანძილზე და თითქმის 400 პროცენტით — 20 წელიწადში. კომუნიზმის მომზიდველი სურათი, რომელიც დახატულია პროგრამაში, უდიდეს შთაბეჭდილებას მოახდენს მსოფლიოს სუსტად განვითარებულ ქვეყნებზე. გაზეთი „სვადჰინატა“ კომენტარს უკეთებს სკკპ პროგრამის პროექტს მთელ გვერდზე გადაჭიმული ანშლაგით: „ჩადის კაპიტალიზმის მზე, აღმოდის კომუნიზმის მზე“.

ლონდონი

ლონდონი, 2 აგვისტო. (საკდესი). ცნობილმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ, პარლამენტის წევრმა—ლეიბორისტმა კონი ზილიაკუსმა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ შემდეგი განუცხადა:

პროგრამის პროექტის უკვე პირველი გაცნობა შესაძლებლობას იძლევა ვილაპარაკოთ ამ დოკუმენტის უდიდეს მნიშვნელობაზე. შეიძლება დავეთანხმოთ საკვირაო გაზეთს „რეინოლდს ნიუსს“, რომელიც წერდა, რომ დასავლეთს არასოდეს არ წამოუყენებია ასეთი მასშტაბის პერსპექტივები.

პროგრამის პროექტი თვალნათლივ ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი იბრძვის მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ. მე აგრეთვე მგონია, რომ უნდა მოველოდეთ ინგლისის მუშათა მასების უაღრესად ცხოველ გამოხმაურებას პროექტის გამო, რამდენადაც ჩვენ ამჟამად შეგვიძლია შეუპოვარი ძალისხმევა ბრძოლების პერიოდში მთავრობის იმ ახალ საშინაო ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ამას წინათ გამოაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

კონტრასტი ერთი მხრივ, სოციალისტური საზოგადოების უდიდეს წარმატებებსა და მისი მომავალის პერსპექტივებსა და მეორე მხრივ, ჩვენი ეკონომიკის საავალალო მდგომარეობას შორის, უდიდესია. ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ გვინდოდეს წავიდეთ სოციალიზმისაკენ იმავე გზით, რომლითაც საბჭოთა კავშირი მივიდა. ჩვენში არსებობს სხვა, განსაკუთრებული პირობები და ტრადიციები. მაგრამ პროგრამა ყველაზე უფრო უკეთ შეუწყობს ხელს სოციალიზმის იდეების ზრდას მუშათა კლასის რიგებში, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ იგი გააძლიერებს მორჩილებას მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. და რასაკვირველია, განაცხადა დასასრულ ზილიაკუსმა, პროგრამა ერთხელ კიდევ მოწმობს იმ უდიდეს როლს, რომელსაც ასრულებს მსოფლიოში საბჭოთა კავშირი ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში.

ვენა

ვენა, 2 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ფოლკსშტიმე“, რომელმაც თავის მკითხველებს გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შინაარსი, მოწონებე სტატიაში სათაურით „1961 წლის კომუნისტური მანიფესტი“, ამხილებს ბურჟუაზიული პროპაგანდის იმ არგუმენტების უსაფუძვლობას, რომელთა დახმარებითაც ცდილობენ დაამახინჯონ ამ ისტორიული დოკუმენტის არსი.

გაზეთი უპასუხებს ბურჟუაზიულ პროპაგანდისტებს და ხაზგასმით აღნიშნავს რომ ის ხერხები, რომელთაც ისინი იყენებენ, მხოლოდ და მხოლოდ მოწმობენ იმას, რომ ძალა არ შეწევთ საბრძოლო გაანალიზონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი.

„ფოლკსშტიმე“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა საბჭომწიფო · მთელი საბჭოთა ხალხის საბჭომწიფოა და შემდეგ წერს: „ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ვერ დაისახავს მიზანს — მიანიჭოს თავის მოქალაქეებს ესოდენ ფართო უფლებები და ესოდენ ფართო თავისუფლება, როგორც ამას ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი. საბჭოთა კავშირში ცალკეული პიროვნების თავისუფლება და ინტერესები ჰარმონიულად ერწყმის მთელი საზოგადოების თავისუფლებასა და ინტერესებს. ამის საფუძველია უკლასო, სოლიდარობაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობა, რომლის წინააღმდეგაც უძლურია სოციალიზმის მოწინააღმდეგეთა ყოველგვარი გამოხდომა. რაც უფრო ჯიუტობს ანტიკომუნიზმი, მით უფრო ბრმაა იგი ფაქტების წინაშე, მით უფრო მოულოდნელი ხდება ანტიკომუნისტებისათვის ისეთი ფაქტები, როგორიცაა დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვება—საბჭოთა მეცნიერების ეს განმაცვიფრებელი მიღწევა“.

გაზეთი „ნოიეს ესტერრაიხი“ მოწინავე სტატიაში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს ეძღვნება, ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მისწრაფებას მშვიდობისადმი.

სწორედ ახლა, წერს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი განსაკუთრებული დამჯერებელი ძალით კვლავ აცხადებს მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, მუშათა კლასის მიზნები შეიძლება განხორციელდეს უმსოფლიოომომდო. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ხრუშჩოვი ერთხელ კიდევ აცხადებს, ვალიარებ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპსო, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა სადავო საკითხი შეიძლება გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. უეჭველია, რომ თავისი გიგანტური 20 წლის გეგმის ნაწილობრივი შესრულებისთვისაც კი რუსეთს სჭირდება მშვიდობა.



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისადმი.

სურათზე: ერთ-ერთ საგზეთო კიოსკთან ბერლინში.

ფოტო ცენტრალბილდისა. (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

ი. გაგარინი ბრაზილიაში

სან-პაულო, 2 აგვისტო. (საკდესი). მხოლოდ ერთი დღე — 1 აგვისტო — გაატარა იური გაგარინმა სან-პაულოში. მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიც ბრაზილიის ამ უდიდესი სამრეწველო ცენტრის მცხოვრებლებმა გამოავლინეს თავიანთი სტუმართმოყვარეობა და სიხარული საპატიო საბჭოთა სტუმრის მიმართ.

დილიდან გვიან საღამომდე ქალაქის მცხოვრებნი მორიგეობდნენ სასტუმროსთან, სადაც გაგარინი დაბინავდა. როგორც კი ეჭეშმი გამოვიდოდა, მას მყისვე გარს ეტყმოდა და მიესალმებოდა ხალხი.

„პროლეტარული სალამი, იური!“ — ეწერა თვითნაკეთ პლაკატს, რომელიც ეჭირა კოსმონავტის მოლოდინში მყოფ ხალხს იმ შენობასთან, სადაც მის პატივსაცემად სადილი გამართა სან-პაულოს შტატის ჟურნალისტთა პროფკავშირმა. „მშვიდობა და მეგობრობა“, „ჩვენ გვინდა მეგობრობა საბჭოთა კავშირთან“ — გაიძახოდნენ სან-პაულოს მცხოვრებნი, რომლებიც გულითადად მიესალმებოდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს.

ი. გაგარინი ოფიციალურად ეწვია სან-პაულოს შტატის გუბერნატორს კარვალო პინტოს. გაგარინსა და პინტოს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. გუბერნატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრაზილიელი ხალხი გულწრფელად აღტაცებულია საბჭოთა მეცნიერების გრანდიოზული მიღწევებით, იური გაგარინის გმირობით.

1 აგვისტოს საღამოს ქალაქის სასპორტო დარბაზში გაიმართა სან-პაულოს მშრომელთა მიტინგი, მიძღვნილი იური გაგარინის ვიზიტისადმი. 5 ათასზე მეტი კაცი მქუხარე ოვაციით შეხვდა კოსმოსის დამპყრობს. ბევრმა მიტინგზე პლაკატები და ტრანსპარანტები მოიტანა, რომლებზეც რუსულ და პორტუგალიურ ენებზე წარწერილი იყო უაღრესად გულითადი მისალმებანი საბჭოთა სტუმრისადმი და ბრაზილიელი ხალხის მეგობრული გრძნობები იყო გამოხატული ხალხისადმი. „გაუმარჯოს მეგობრობასა და დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან“, ეწერა ერთ-ერთ ტრანსპარანტს.

ი. ა. გაგარინს მიტინგზე გულთბილად მიესალმა სან-პაულოს მერი ფრანსისკო პრესტესი. ტაშის გრიალში ბრაზილიის ასტრონავტიკის ინსტიტუტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაგარინი არჩეულია ამ ინსტიტუტის საპატიო წევრად. მას იქვე გადასცეს ინსტიტუტის დიპლომი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა იური გაგარინმა.

სასიხარულო პროგნოზები და საკვალო სინამდვილე

ვაშინგტონი, 2 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელ დროს ვაშინგტონში ხშირად აკეთებენ განცხადებებს, დაიწყო ამერიკის ეკონომიკის „გამოჯანსაღებაო“. კერძოდ, ამის შესახებ ლაპარაკობდა უკანასკნელ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტი კენედი, სასიხარულო პროგნოზები გამოთქვა ფინანსთა მინისტრმა დილონმა, ამ თემაზე ბევრი რამ დაიწერა ამერიკის პრესის ფურცლებზე.

დასადასტურებლად, როგორც წესი, მოჰყავთ გასაღების გადიდებისა და მოგების ზრდის ციფრები. „მაგრამ ამასწინანდელი დაკვეთების შემდეგ გამოცოცხლების ამ ზერელე მაჩვენებლებმა, — აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვაში, რომელიც ამერიკის შრომის ფედერაციამ — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის აღმასკომმა გამოაქვეყნა, — არ უნდა დაჩრდილონ მთავარი სენი, რომლითაც დაავადებულია ჩვენი ეკონომიკა“.

ეს აღდგენა, ნათქვამია ამ მიმოხილვაში, მოასწავებს რაღაც უფრო მეტს, ვიდრე პროდუქციის გაყიდვის მოცულობის გადიდება ან ზოგების ზრდაა. ნამდვილ აღდგენაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, როცა დაუსაქმებელი სამუშაო ძალა და შეერთებული შტატების უმოქმედო საწარმოო სიმძლავრენი ჭოლიანად ამოქმედდება. „სამწუხაროდ,—აღნიშნავენ მიმოხილვის ავტორები,—ეს აღდგენა არსად არ ჩანს. უაღრესად ოპტიმისტური პროგნოზებითაც კი წლის ბოლოსათვის უმუშევრობის დონე სამუშაო ძალის 6 პროცენტი მაინც იქნება. არავის არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს, თუ როდის დაიტვირთება თუნდაც საწარმოო სიმძლავრის 80 პროცენტით ისეთი დარგები, როგორიც ფოლადსამსხმელო მრეწველობაა“.

კვლავ იზრდება სამხედრო ასიგნებანი

ვაშინგტონი, 3 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის კონგრესის წარმომადგენლთა პალატამ დაამტკიცა კანონპროექტი 958.570 ათასი დოლარი ასიგნებისა შეიარაღებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მზადების პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც პრეზიდენტმა კენედიმ გამოაცხადა. ეს ასიგნება ნაწილია დამატებითი სახსრებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სამხედრო მიზნით 3.247 მილიონი დოლარის რაოდენობით, რაც ამ ცოტა ხნის წინათ ჩოითხოვა პრეზიდენტმა გამალებული შეიარაღების გასაძლიერებლად იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკელმა მილიტარისტებმა აღმოაჩინეს, თითქოს დასავლეთ ბერლინს ემუქრება „კომუნისტური საფრთხე“.

კანონპროექტი, რომელიც ადრე სენატმა დაამტკიცა, ხელმოსაწერად გაეგზავნა პრეზიდენტ კენედის.

,,კაცობრიობის შთაგონების წყარო და ლამპარი“

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. (საკდესი). შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰეს ჰოლმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის განცხადება

✦

იმ მომენტში, აღნიშნულია განცხადებაში, როცა მონოპოლისტები შეერთებულ შტატებში ომის ფსიქოზს აღვივებენ ბერლინთან დაკავშირებით, ადიდებენ შეიარაღებას და აძლიერებენ ცივ ომს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გულშიჩამწვდომად მოუწოდებს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის შეერთებულ შტატებთან და ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასთან პროგრამის ისტორიულ პროექტში, რომელიც ოქტომბერში განსახილველად წარედგინება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობას.

პროგრამის პროექტში, ნათქვამია განცხადებაში, გამოცხადებულია ღრმა და მუდმივ მიზეზებზე დამყარებული პრინციპი, რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ომი გარდუვალი არ აოის, და რომ კაცობრიობას შეუძლია უომოდ დაამყაროს ახალი სოციალური წესწყობილება მთელს მსოფლიოში. ეს აოის შესანიშნავი პერსპექტივა, რომელსაც მთელი მსოფლიოს უბრალო ხალხი სულითა და გულით იწონებს და რომლის მისაღწევადაც იგი მთელი ძალღონით იბრძოლებს.

ამრიგად, მტკიცება იმისა, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა და პრინციპისა, რომ ომი გარდუვალი არ არის, მტკიცება, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობისმოყვარული სოციალისტური სისტემის არსებობა და კომუნიზმის ფუნდამენტის აშენება, არის მტკიცე ბაზა სრული და საყოველთაო განიარაღებისათვის საერთაშორისო კონტროლის პირობებში, რომელსაც ყველა ქვეყნის ხალხები მხურვალედ ესწრაფვიან და რომლის წინააღმდეგაც გამოდიან მხოლოდ მოგების დახარბებული მონოპოლისტები.

პროგრამის პროექტი, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, ქმნის აგრეთვე სიუხვის ახალ პერსპექტივას საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. იმ მომენტში, როცა ჩვენი ქვეყნის ხალხს კაპიტალისტების უგეგმობისა და მათი სიხარბის გამო ტანჯავს ბინის მწვავე ნაკლებობა, ჯურღმულებში ცხოვრება და მეტისმეტი სივიწროვე, ცხოვრებისა და სამედიცინო მომსახურების გაძვირება, გადასახადების ზრდა, მაშინ როცა ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ხალხს საქმე აქვს მკაცრი ეკონომიისა და სოციალური მომსახურების სისტემი. გაუარესების პროგრამებთან, საბჭოთა კავშირი თავის პროგრამაში აცხადებს უფასო სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაფართოებას, უფასო ბინებისა და კომუნალური მომსახურების მიცემას, გადასახადების გაუქმებას და ფასების დიდ შემცირებას

ტუნისის ამბების გამო. ტუნისელი ჯარისკაცი დახმარებას უწევს ბიზერტაში დაჭრილ ახალგაზრდებს.

კეისტონის საგენტოს ფოტო.

ბანდიტური თავდასხმა

ბოგოტა, 2 აგვისტო. (საკდესი). ამას წინათ დამნაშავეთა ჯგუფმა მოახდინა პროვოკაციული თავდასხმა კუბის საკონსულოზე კოლუმბიის ქალაქ ბარანკილიაში. საკონსულოს შენობას ტყვიამფრქვევი დაუშინეს. ამ დანაშაულებრივი თავდასხმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ბარანკილიაში მოეწყო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 ათასამდე კაცმა.

კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუბის მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ბოდიშს იხდის კუბის საკონსულოზე თავდასხმის გამო.

ლაოსის მთავრობის განცხადება

ჯანოი, 3 აგვისტო. (საკდესი). ყველა რეზოლუცია, რომელთა მიზანია შეცვალოს „ეროვნული კონგრესის“ (რომელიც ფუმი ნოსავან-ბუნ უმის ხროვამ შექმნა) მიერ მიღებული ლაოსის კონსტიტუცია, გაუქმებულია, ნათქვამია ლაოსის სამეფო მთავრობის განცხადებაში, რომელიც გუშინ გადასცა რადიოსადგურმა „ლაოსის ხმამ“.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ეროვნული კონგრესის“ მოწვევა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მეფეს თავისი თავი დანიშნოს პრემიერად ან შექმნას ლაოსის ახალი მთავრობა, უკანონოა და ითვალისწინებს სამი პრინციპის ციურიხის თათბირის გადაწყვეტილებათა ჩაშლას, გადახვევას ლაოსის მშვიდობის, ნეიტრალიტეტის, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის პოლიტიკიდან.

პრინცი სუვანა ფუმას კანონიერ მთავრობას, რომელიც კვლავ ერთგულია მშვიდობის, ნეიტრალიტეტისა და ხალხის მისწრაფების პატრიოტიკისა, — ნათქვამია განცხადებაში, — უეცელად და გულწრფელად სურს მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოს ლაოსის საკითხი, განახორციელოს ციურიხის კომუნიკე და უახლოეს მომავალში შექმნას კოალიციური მთავრობა, რაც უზრუნველყოფს უმიშროებასა და წესიერებას ლაოსში“.

განცხადება შეიცავს მოწოდებას ფუმი ნოსავან-ბუნ უმის დაჯგუფებისადმი — თანმიმდევრულად შეასრულოს ციურიხის კომუნიკე.

,,ჩადის კაპიტალიზმის მზე, ამოდის კომუნიზმის მზე“

იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს ყრილობაზე

ტოკიო, 2 აგვისტო. (საკდესი). დღეს ტოკიოში გაიხსნა „უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების—იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს მორიგი ყრილობა. ამ პროფკავშირის რიგებში სახელმწიფო და კერძო სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა დასახელებით 4 მილიონი მუშა-მოსამსახურეა გაერთიანებული.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს გენერალურ საბჭოში შემავალი 59 დარგობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის 647 დელეგატი.

ყრილობა განიხილავს გენერალური საბჭოს მოხსენებას და დასახავს იაპონიის პროფკავშირთა შემდგომი ბრძოლის კურსს იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალის, იმ შეტევის წინააღმდეგ, რაც ხორციელდება მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისა და დემოკრატიული უფლებების მიმართ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის კურსს.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გაკეთდა და მოღვაწეობის პროგრამის თეზისები წაიკითხა გენერალური საბჭოს გენერალურმა მდივანმა აკირაივამ.

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

,,ალბანეთი“ ,,ალბანეთი“

ლიტერატურა და ხელოვნება

ქართული ოპერა სვალინშვილის სცენაზე

თუმცა 1913 წელს ვენაში ერ. ჯაბადარმა დაუკრა „ქართული რაფსოდია“, 1927 წლებში პარიზში კომპოზიტორების ჩერეპნინების კონცერტზე კვარტეტმა შეასრულა ზ. ფალიაშვილის ოთხი ნაწარმოები, 1935 წელს ბერლინში რეჟისორმა გიორგი ჯაბადარმა დადგა ალ. სუმბათაშვილის „ლალატი“, შარშან პარიზის მახლობლად კურორტ ანგიენში მოცეკვავეებმა ლიან დეიდემ და მიშელ რენომ წარმოადგინეს ფრაგმენტები ალ. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოდან“ და ზოგჯერ უცხოეთის რადიოთი გადასცემენ ან კონცერტებზე ასრულებენ საბჭოთა საქართველოს კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, მაგრამ საქართველოს საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის ისტორიაში ქართული საბჭოთა ოპერა უცხოეთში დღემდე არ დადგმულა. მხოლოდ ახლახან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ სტალინშტადტში დაიდგა კომპოზიტორ ალექსანდრე ბუკიას ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები“. ასე რომ ალ. ბუკიას საბავშვო ოპერა პირველი დაპატიჟებული ოპერაა უცხოეთის სცენაზე, ქართული ბუდიდან საზღვარგარეთ გაფრენილი პირველი მერცხალია.

მართალია, ქართული ოპერა ქალაქ სტალინშტადტში პროფესიულმა მომღერლებმა კი არ წარმოადგინეს, არამედ ხელოვნების მოყვარულმა ახალგაზრდებმა მასწავლებლის დღესასწაულთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტი მეტად საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიღებული ცნობებით, ოდერის ფრანკფურტის საქალაქო ოპერის პროფესიული კოლექტივი უკვე შეუდგა ალ. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრების“ მომზადებას.

„დაუპატიჟებელი სტუმრების“ ლიბრეტო გერმანულად თარგმნეს და მუსიკალურად დაამუშავეს რუდოლფ მოდელმა და მია კლინგჰარდტმა. დირიჟორობა იკისრა იმავე რუდოლფ მოდელმა.

რუდოლფ მოდელი ამ უაღრესად რთულ საქმეში მთლიანად ემყარებოდა პირად თაოსნობას. გაბედულად, განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობით მუშაობდა პარტიტურაზე, ხელმძღვანელობდა გუნდისა და ორკესტრის რეპეტიციებს.

ოპერაზე მუშაობა თავიდანვე ცხოველი ინტერესით მიმდინარეობდა. ნორჩი შემსრულებლები დიდად გაიტაცა ოპერის მუსიკამ. „ოპერისადმი ინტერესი განუწყვეტლივ იზრდება, — ატყობინებდა მოდელი ბუკიას. — თქვენი ოპერის დადგმა, რომელიც ბავშვებს ბევრად უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს, ვიდრე გერმანული საბავშვო ოპერა, ჭეშმარიტად დიდ მიღწევას წარმოადგენს“.

მუშაობის პროცესში დასახმარებლად ალ. ბუკიამ რუდოლფ მოდელს გაუგზავნა ოპერის მონტაჟი რუსულ ენაზე მოსკოვის რადიოს სოლისტების, გუნდის და ორკესტრის შესრულებით. „გულითად მადლობას მოგახსენებთ მაგნიტოფონის გამოგზავნისათვის, — წერდა მოდელი ბუკიას, — ახლა მე ყოველდღიურად ვტკბები თქვენი შესანიშნავი მუსიკით. მართო მე კი არ ვამბობ, რომ ეს მუსიკა მშვენიერია, არამედ ბავშვებიც, რომლებსაც სურთ განუწყვეტლივ ისმინონ იგი“.

ასე აი ამ ცოტა ხნის წინათ სტალინშტადტის ფრიდრიხ ვოლფის სახელობის თეატრის სცენაზე შედგა „დაუპატიჟებელი სტუმრების“ პრემიერა.

სპეტაკლის საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. დარბაზში ხშირად გაისმოდა მოწონების ტაში, მხიარული სიცილი. შესვენებებზე პედაგოგები და საპატიო სტუმრები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და ერთხმად გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას ამ კეთილშობილური წამოწყების გამო. „მართლაც შესანიშნავია“, „ჭეშმარიტად საუცხო სანახაობაა“, — გაისმოდა ირგვლივ, — ეკითხულობთ ერთ-ერთი გაზეთის რეცენზიაში, რომლის სათაურია: „დიდი ფორმატება, მჭუხარე ოვაციები, შეუპოვარი და თავდადებული შრომის შედეგი, ქება და ვაშა დამდგმელ კოლექტივს“.

მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოპერის II აქტმა, განსაკუთრებით მახრების საომარმა ცეკვებმა, აგრეთვე საფინალო გუნდმა — ნორჩ მებაღეთა მარშმა, რომელიც ერთსულოვანი მოთხოვნით გამეორებულ იქნა.

დამსწრენი სიხარულით შეხვდნენ გაწათლების საქალაქო განყოფილების უფროსის ნიცშეს განცხადებას, რომ საქალაქო სტაციონარული თეატრის რეჟისორი პაულ რაბოლდი და დირიჟორი მოდელი დაჯილდოეს ვერცხლის მედლით „თვალსაჩინო მიღწევისათვის“, როლების შემსრულებელი მოწაფეები კი პიონერთა ბანაკის უფასო საგზურებით და საეკსკურსიო ბილეთებით ბერლინის თეატრსა და ზოოპარკში. მოსწავლეთა საოპერო დასი „დაუპატიჟებელი სტუმრებთან“ მიწვეულია ბერლინის „მეგობრობის“ თეატრში.

ქართული საბავშვო ოპერის დადგმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი რუდოლფ მოდელი „დაუპატიჟებელი სტუმრების“ პრემიერის გამო ოპერის ავტორს წერილობით ატყობინებს: „სიამაყით და სიხარულით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ოპერამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა“.

ა. ცამციშვილი,
მ. ჟორდანია.

სურათზე: ალ. ბუკიას საბავშვო ოპერის „დაუპატიჟებელი სტუმრების“ მე-2 მოქმედების ფინალი სტალინშტადტის თეატრის სცენაზე.



ზაფხულის ხალისიანი დღე.

ფოტოტიტოდი შ. ჩხეტიანისა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲮᲣᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲬᲐᲛᲨᲘ

ადამიანის თვალს არ შეუძლია დაინახოს გასროლილი ტყვიის მოძრაობა. მაგრამ მისი გადაღება შეიძლება ზესწრაფი კინოკამერის საშუალებით, რომელსაც ჩვენი მრეწველობა უშვებს. ეს კინოკამერა 0,075 წამში იღებს 7.500 კადრისაგან შექმნილ კინოფილმს. ამ კონსტრუქციის ავტორი ლენინგრადელი ინჟინერი ლ. ა. საბუროვი ახლა მუშაობს იმაზე, რომ კიდევ უფრო დაიჩქაროს კინოგადაღებათა სიჩქარე. მის მიერ შექმნილი ახალი კინოკამერა გადაიღებს წამში 400 ათასიდან 5 მილიონამდე კადრს.

ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

მოსკოვის ა. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის კიბერნეტიკის ლაბორატორიაში მუშაობენ ელექტრონული გამოსათვლელი მანქანების გამოყენებაზე გულ-სისხლძარღვების დაავადებების, მათ შორის გულის მანკის დიაგნოსტიკისათვის. ცნობილია, რომ არსებობს 100-მდე სახის თანდაყოლილი მანკი და ექიმს უძნელდება დაავადების ბასიათის განსაზღვრა და ამის გამო მკურნალობის მეთოდების ამორჩევა. კიბერნეტიკული მანქანა დაავადების სხვადასხვა სიმპტომებისა და მონაცემების დამუშავების შემდეგ რამდენიმე წამში შეასრულებს დიაგნოსტიკურ ანალიზს. შემდეგში განზრახულია შეიქმნას კიბერნეტიკული მანქანები, რომლებიც დაეხმარება ქირურგს გულის ოპერაციის დროს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲘ

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით საქართველოში განუწყვეტლივ იზრდება შემნახველი სალაროების რიცხვი.

ამ დღეებში გაიხსნა ათობით ახალი შემნახველი სალარო, მათ შორის ონის რაიონის სოფელ საკაოში, თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუბის კავშირგაბმულობის განყოფილებასთან, ადიგენის რაიონის სოფელ ბენარაში, წალენჯიხის რაიონის სოფლებში ჭალეში, მიქავაში და მუღაკაში და საქართველოს ბევრ სხვა ქალაქსა და სოფელში. მარტო წელს რესპუბლიკაში გაიხსნა 43 ახალი შემნახველი სალარო. „ამჟამად რესპუბლიკის მოსახლეობას თითქმის 1.100 შემნახველი სალარო ემსახურება.

განუწყვეტლივ იზრდება მშრომელთა ანაბრები შემნახველ სალაროებში. მარტო წელს ანაბრების თანხა 7.800.500 მანეთით გაიზარდა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ

2 აგვისტოს საღამოს თბილისში კიევიდან ჩამოვიდა კვიპროსის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციაში შედიან რესპუბლიკის თავლასაჩინო პარლამენტის მოღვაწეები და საზოგადო მოღვაწეები.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი გ. ს. ვაშაკიძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ. მ. მარუაშვილი, მ. ე. თოფურიძე, ბ. ა. იაკობაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ბ. ვ. ლორთქიფანიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, მ. ა. ბიბილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. ნ. მენთეშაშვილი, მ. ა. ბიბილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი გ. პ. ჩარქეშვილი.

ვიზიტის შემდეგ კვიპროსის პარლამენტარები ავტომანქანებით გაემგზავრნენ თელავის რაიონში. აქ ისინი გაეცნენ საკოლმეურნეო წარმოებას, დათვალიერეს ა. ჰაჭიკაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში. თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა საღილი გამართა სტუმრების პატივსაცემად.

გვიან საღამოს კვიპროსის რესპუბლიკის პარლამენტარები თბილისში დაბრუნდნენ. (საქდესი).

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲓᲐᲜ

2 აგვისტოს საღამოს თბილისში კიევიდან ჩამოვიდა კვიპროსის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციაში შედიან რესპუბლიკის თავლასაჩინო პარლამენტის მოღვაწეები და საზოგადო მოღვაწეები.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი გ. ს. ვაშაკიძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ. მ. მარუაშვილი, მ. ე. თოფურიძე, ბ. ა. იაკობაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ბ. ვ. ლორთქიფანიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, მ. ა. ბიბილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მ. მ. დოლაბერიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. ნ. მენთეშაშვილი, მ. ა. ბიბილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი გ. პ. ჩარქეშვილი.

ვიზიტის შემდეგ კვიპროსის პარლამენტარები ავტომანქანებით გაემგზავრნენ თელავის რაიონში. აქ ისინი გაეცნენ საკოლმეურნეო წარმოებას, დათვალიერეს ა. ჰაჭიკაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში. თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა საღილი გამართა სტუმრების პატივსაცემად.

გვიან საღამოს კვიპროსის რესპუბლიკის პარლამენტარები თბილისში დაბრუნდნენ. (საქდესი).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲐᲛᲓᲔ

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). დამთავრდა მაღალი ძაბვის ელექტროხაზის გაყვანა ქუთაისიდან მაიაკოვსკამდე. რაიონულ ცენტრში, აგრეთვე მთელ რიგ სოფლებში აგაგეს სატრანსფორმატორო ქვესადგურები. მაღალი ძაბვის ხაზზე ჩაერთო რაიონული ცენტრი, სოფელ მაიაკოვსკის სტალინის სახელობის და სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობების საზოგადო ნაგებობანი, კოლმეურნეთა ბინები.

ახლო ხანში ელექტროფიცირებული იქნება რაიონის კიდევ სამი სოფლის — ფერსათის, წითელხევისა და როხის კოლმეურნეობები.

დასასრულს უახლოვდება მაღალი ძაბვის ჩიხის მშენებლობა კურორტ საირმის მიმართულებით.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

მალე მოსკოვი დიდი ასპარეზობის მოწმე გახდება. 12 აგვისტოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ აღმართავენ სკკპ XXII ყრილობისადმი მიძღვნილი პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის ალაგს.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სპორტული დელეგაციის შტაბის უფროსმა **ი. ბოჭორიძემ** განაცხადა:

პროფკავშირთა რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, წარმატებით ჩაიარა. მასში მონაწილეობა მიიღო ასეულ ათასობით სპორტსმენმა ფაბრიკა-ქარხნებიდან, სასპორტო საზოგადოებებიდან. დამყარებულია ახალი რეკორდები.

სპარტაკიადის შედეგების მიხედვით შედგა ნაკრები გუნდები, რომლებმაც შეკრება გაიარეს ლესელიძეში, ბორჯომში, ბათუმსა და მოსკოვში. ჩვენი 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ცამეტსავე სახეობაში.

შეჯიბრება მოეწყობა როგორც რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს შორის, ისე ამავე რესპუბლიკებისა და ქალაქების საწარმოთა და სასპორტო საზოგადოებათა კოლექტივებს შორის.

საწარმოთა კოლექტივებიდან ჩვენი რესპუბლიკიდან გამოვლენ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის (ძალოსნობა), 26 კომისრის რაიონის (ძიდეოსნობა, ველოსპორტი), თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის (ცურვა) და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს (ტანვარჯიში) სპორტსმენთა კოლექტივები.

საქართველოს სპორტული დელეგაცია სპარტაკიადაზე 8 აგვისტოს გაემგზავრება.

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ

5 აგვისტოს ბათუმსა და ნოვგოროდში დაიწყება საკავშირო საქადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობანი. გარდა ამისა, მოეწყობა რსფსრ, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის ჩემპიონატები, რომლებიც ამავე დროს შესარჩევი ასპარეზობა იქნება სსრ კავშირის XXIX პირველობის ფინალისტების გამოსავლენებლად.

რსფსრ ჩემპიონატიდან ფინალში მონაწილეობას მიიღებს 3 მოკადრაკე, მოსკოვიდან — 4, ლენინგრადიდან — 3, უკრაინიდან, ბათუმისა და ნოვგოროდის ნახევარფინალებიდან — ორ-ორი მოკადრაკე.

ამ შეხვედრებიდან გამოვლინებულ 16 მოკადრაკეს დაემატება კიდევ სამი კაცი — მ. ბოტვინიკი, მ. ტალი, ტ. პეტროსიანი და შეიქმნება ფინალური ჯგუფი 19 მოკადრაკეთ.

ფინალური შეჯიბრება გაიმართება ბაკოში 21 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე.

ბათუმის ნახევარფინალურ ასპარეზობაში ერთმანეთს შეეცილებიან ოსტატები — ბაგიროვი (ბაკო), ნეი (ტალინი), გურგენიძე (თბილისი), გიპლისი (რიგა), ბუსლაევი (თბილისი), კლოვანი (რიგა), გოლდენოვი (მინსკი), ჰალლბეილი (ბაკო), გრუშევსკი (ტაშკენტი), ზახარიანი (ერევანი), ოსტატობის კანდიდატები — ლომაია (თბილისი), კალანტარი (ერევანი) და სხვ.

ბათუმის ნახევარფინალის მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. გაჩეჩილაძე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

გუშინ კურსკში გაიმართა სსრ კავშირის თასის გამამეშების მორიგი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „შრომითი რეზერვებისა“ და ბრესტის „სპარტაკის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:1.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

გუშინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ჰოლანდიის საკლუბო გუნდი „ბლაუ ვიტი“ და მოსკოვის „დინამო“. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 3:0.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲚᲐᲚᲕᲐ

0:5. ასეთ ანგარიშს გამანადგურებელი ეწოდება. იგი არ გაგაკვირვებს, როცა მხარეთა ძალები თანაბარი არ არის. იგი ისეთ ამბად იქცევა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, თუ გუნდები თამაშის კლასით ახლოს დგანან ერთმანეთთან.

თბილისის დინამოელებზე განწყობილებას რომ დიდი გავლენა აქვს, რომ მათ თავდაცვითი ტენდენციები არ მოსწონთ და თამაშის მთელი აზრი მათთვის ეერიშშია განსახიერებული, ყველაფერი ეს მრავალი წელია ცნობილი. დიდი ხანია ვიცით ისიც, რომ ეს თავისებური და ნიჭიერი კოლექტივი თანაბარი არ არის, ჭირვეულია, აღდაცებასაც განგაცდევინებს და იმედსაც გაგიცრუებს ხოლმე. შეგიძლიათ როგორც გნებავთ ისე მოეკიდოთ ყოველივე ამას, მაგრამ გუნდი ისე უნდა მიიღოთ, როგორიც არის იგი. და მაინც ის, რაც გუშინწინ მოედანზე ხდებოდა, ძნელი ასახსნელია. შთაბეჭდილება ისეთი შეიქმნა, რომ თბილისელებისათვის ამსოლუტურად სულ ერთი იყო, როგორი იქნებოდა მატჩის შედეგი. მოდუნება და სიზანტე — ეს იყო და ეს, რაც მათ მაყურებლებს აჩვენეს.

ტაქტიკურად ისინი საოცრად პრიმიტიულად გამოიყურებოდნენ: ხუთნი დაცვაში და ხუთნი თავდასხმაში. მოედნის ცენტრისათვის ბრძოლაზე თბილისელებმა ნებაყოფლობით აიღეს ხელი, მათი თავდამსხმელები, ბურთი რომ მიეღოთ, შორს მიდიოდნენ თავიანთი თავდაცვის სიღრმეში. დამცველები მოუჭნელნი და სრულიად უყურადღებონი იყვნენ, ყოველთვის რომელიმე რკინიგზელი დიად იყო დატოვებული, შეეძლო თავისუფლად მიეღო ბურთი და დაერტყა კარში. სამხრეთელთა თავდამსხმელები ერთმანეთს არ ეძებდნენ, არამედ თვითეული მათგანი რიგრიგობით ცალკე აკეთებდა გრძელ რეიდს. ამ მხრივ ყველაზე აშკარა იყო მეხხის ქცევა. მას არც კი უცდია თუნდაც მოჩვენებითი აქტივობა გამოეჩინა და მეტწილად მატჩის მეთვალყურის პოზით დონჯშემოყრილი იდგა.

„ლოკომოტივს“, რომელიც ჩვეული შრომისმოყვარეობითა და ბეჯითობით მოქმედებდა, სულაც არ გასჭირვებია გაენადგურებინა დაუდევარი მეტოქენი. ხუთივე გოლი ერთი საერთო ნიშნით ხასიათდებოდა: ხუთივე გატანილ იქნა მშვიდი, სტატიკური მდგომარეობიდან, არსებითად უბრძოლველად. აი რა სახე ჰქონდა ამას.

მე-15 წუთი. ცენტრში განმარტოებით მდგომმა აბრამოვმა მიიღო გადაცემა ფლანგიდან, კარგად დაუმიზნა და ზედა კუთხეში გაგზავნა ბურთი.

44-ე. მარჯვნიდან კარის გასწვრივ მიწოდებული ბურთი სრულიად თავისუფლად მდგომმა სპირიდონოვმა თავით დინჯად გაგზავნა კარში.

49-ე. კოტრიკაძე კარიდან ბურთის დარტყმისას სჯარიმო მოედნის ხაზს გადასცდა. დაუდევრობა დასჯილ იქნა მსჯავრის სასტვენით. „კედელი“ თუმცა აღიმართა, მაგრამ სრულიად ფორმალურად, კარი დაცული არ არის. ვოროშილოვი პირდაპირ სჯარიმო დარტყმიდან გზავნის ბურთს ბადეში.

55-ე. თბილისელმა დამცველებმა სრულიად უმიზეზოდ დაკარგეს ბურთის კონტროლი, და ბელიაკოვი მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. დარტყმა ზუსტია.

59-ე. ვოროშილოვი კარიდან 22 მეტრზეა. მას არავინ არ უშლის ხელს. იგი რაც შეიძლება მარჯვედ ისწორებს ბურთს ფეხზე და საუცხო დარტყმით გზავნის მარჯვენა „ცხრიანში“.

თბილისელმა დინამოელებმა ჯერ კიდევ ამ მატჩამდე უზრუნველყვეს ათი ფინალისტის რიცხვში გასვლა. ნუთუ მარტო ამ ნაწილობრივი და შუალედი წარმატების მიღწევით ამოიწურებოდა მთელი მათი მისწრაფებანი?

ბრძოლის მსვლელობაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გუნდი შეიძლება მოეშვას, მოულოდნელად რომ წაეწყდება გააფთრებულ წინააღმდეგობას. შეიძლება განწყობილება გააფუჭოს უეცარმა და დაუმსახურებელმა აცდენამ. ასეთ რამეს თუმცა ვერ გაამართლებ, მაგრამ რითიმე მაინც ახსნი.

მოედანზე გამოსვლა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გათვალისწინებულია განრიგებით, მხოლოდ ამისათვის, რომ ბეგარა მოიხადო, არც ერთ კოლექტივს არ შეეფერება, მით უმეტეს ისეთს, როგორიც თბილისის „დინამოა“. გუშინწინდელი განადგურება გუნდის კარგი სახელის შებღალვაა.

ლ. ფილატოვი.
(„სოვეტსკი სპორტ“, 2/VIII).

ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ამას წინათ სოფელ წესში სტუმრად იმყოფებოდა დაღესტნელი ო. ალიევი. ქვეშვავის საკოლმეურნეო სამკურნალო ამბანის მიდამოებში მან საათი „პობედა“ დაკარგა. ნივთის ძებნა ამაო გამოდგა. ო. ალიევმა იგი სამუდამოდ დაკარგულად ჩათვალა.

მაგრამ ო. ალიევი ერთ დღეს წესის სასოფლო საბჭოში დაიბარეს და საათი გადასცეს. იგი ეპოვნა სოფელ წესში მცხოვრებს, მოქალაქე გ. სხირტლაძეს და სასოფლო საბჭოში მიეტანა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ

ᲡᲐᲖᲐᲮᲬᲔᲚᲣᲚᲘ ᲒᲐᲔᲚᲘ ᲚᲐᲢᲕᲘᲠᲜᲐ ᲛᲐᲒᲘᲙᲐ

(ჩეხოსლოვაკია)

პარასკევს, 4 აგვისტოს და შაბათს, 5 აგვისტოს
დასაწყისი დღის 4 ს. და 8 ს. 30 წ.
კვირას, 6 აგვისტოს
დასაწყისი დღის 1 ს. და 8 ს. 30 წ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲝ

ტრიო „ლოს პანჩოს“ (მექსიკა)
დასაწყისი საღამოს 9 ს.

ᲡᲐᲨᲔᲤᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ

მესტიის კულტურის სახლის სცენაზე დგას როიალი. როიალს უკრავენ ნორჩი თუ ახალგაზრდა შემსრულებლები, ეუფლებიან მუსიკალურ ხელოვნებას...

ეს როიალი შარშან თბილისის კალინინის სახელობის რაიონის ახალგაზრდებმა საჩუქრად უძღვნეს მესტიელ ახალგაზრდებს. უკვე მეორე წელია კომკავშირის კალინინის რაიონის კომკავშირელები და ახალგაზრდები შეფობას უწევენ მესტიის რაიონის ახალგაზრდებს.

ამ დღეებში მესტიელებს ეწვივნენ შეფები: თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ჯგუფი 26 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი დოცენტი ბ. ნიკოლაიშვილი).

ჯგუფში შედიოდნენ ინსტიტუტის დრამატული და მუსიკალური განყოფილებების სტუდენტები. მათ კონცერტები გამართეს ხაიშსა და მესტიაში. შეფებმა მაყურებელს უჩვენეს ვაჟა-ფშაველას პოემის „ბახტრიონის“ ინსცენირება, ნაწყვეტი დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლიდან“, აგრეთვე ნაწყვეტები მუსიკალური კომედიებიდან.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ მომზადებულმა ლიტერატურულ-მუსიკალურმა მონტაჟმა „ახალი სვანეთი“, რომელშიც გამოყენებულია ქართველი პოეტებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებები.

მომავალმა მსახიობებმა ბოლო კონცერტი გამართეს მესტიის კულტურის სახლში.

ბ. ჩიგოგიძე.

ᲐᲥ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). მ. ბალანჩიგაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი ერთ-ერთი უძველესია ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოში.

აქ აღიზარდნენ შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი ხელოვნების მოღვაწეები, მუსიკოსები და მომღერლები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ე.ქ. სოხაძე, ნ. ცომაია, დ. ბადრიძე, ვ. ხამაშურიძე, დირიჟორი დ. მირცხულავა, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. დავითაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. ტორონჯაძე, შ. მეძველია და სხვები.

წელს აღნიშნული სასწავლებლის საფორტეპიანო, ვოკალური, საგუნდოსადირიჟორო და საორკესტრო განყოფილებები დამთავრა 66 ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

ახალგაზრდა მუსიკოსთა დიდი უმრავლესობა სამუშაოდ მიდის ლენტეხის, ონის, ამბროლაურისა და სხვა მაღალმთიანი რაიონების მუსიკალურ სკოლებში.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ ᲓᲐᲡᲢᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ. ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐᲒᲘᲗᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲔᲢᲔᲑᲐ.

ᲛᲔ-15 ᲬᲣᲗᲝ. ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲛᲐ ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲤᲚᲐᲜᲒᲜᲘᲓᲐᲜ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲣᲛᲘᲖᲜᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲑᲣᲠᲗᲘ.

44-Ე. ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲓᲒᲝᲛᲛᲐ ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜᲝᲕᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲓᲘᲜᲯᲐᲓ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲙᲐᲠᲨᲘ.

49-Ე. ᲙᲝᲢᲠᲘᲙᲐᲫᲔ ᲙᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲣᲛᲘᲡᲐ